# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 129

8 მაისი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვარე -რეკლამისა და აბრების განთავსებისას, სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებით, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ,,რეკლამის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გარე - რეკლამისა და აბრების განთავსებისას, მათი პროექტების შეთანხმებისა და მათი შესაბამისობის მონიტორინგის პროცესში, ,,რეკლამის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 და მე-2[1] პუნქტის მოთხოვნათა სრულყოფილი იმპლემენტაციის სელშეწყობის მიზნით, დაეკალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ადგილობრივ დონეზე, დამატებითი სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმების შემუშავება.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, შეიმუშაოს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 1 თვის ვადაში წარუდგინოს მერიის შესაბამისი სამსახურების დებულებებში, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულებაში ცვლილებები.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, ასევე, შეიმუშაოს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, წარუდგინოს ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილებები

4. განკარგულების შესრულების კონტროლი ერთობლივად დაეკალოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას (თ. ტალიაშვილი) და იურიდიულ საკითხთა კომისიას (თ.კობახიძე).

5. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი